



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 75
23/01/2019

ქალაქი ბათუმი

75-05-4-201901231125



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეთა ტრანსპორტით და საწვავით უზრუნველყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 31 დეკემბრის №2185 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოფლის მეურნეობის განყოფილების ხელმძღვანელის 2018 წლის 21 დეკემბრის №3756-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეთა ტრანსპორტით და საწვავით უზრუნველყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 31 დეკემბრის №2185 ბრძანებაში და ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 26¹ მუხლი:

„26¹ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოფლის მეურნეობის განყოფილების ხელმძღვანელს თამაზ ხაბაძეს სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით.“.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ პირებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

